

ექვნიეხა საქართველოს ეკლესიის ექთკეფალის აღდგენის 100 წლისთავს

გელა საითიძე

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი

გაზეთი „საქართველო“ და საქართველოს ეკლესიის საკითხი

1903 წლის 1 მაისს, პარიზში, გაზეთ „საქართველოს“ პირველი ნომერი გამოვიდა. ვიდრე ეს ფაქტი მოხდებოდა, მანამდე მისი გამოცემის ინიციატორებს მრავალი დაბრკოლების დაძლევა მოუხდათ. მათ, ახალგაზრდა ქართველ პუბლიცისტთა წარმომადგენლებს, ჯერ ილიას „ივერიაში“, ხოლო შემდეგ ვალ. გუნიას, ალ. ჭყონიას და ალ. ჯაბადარის „ცნობის ფურცელში“ თანამშრომლობით, კარგად იცნობდა იმდროინდელი ქართული საზოგადოება. ესენი იყვნენ: გ. ლასხიშვილი, გ. ზდანოვიჩი, ი. ალლაძე, სამ. ფირცხალავა, გრ. გველესიანი, ი. ნაკაშიძე, გრ. აბაშიძე, ვლ. ლორთქიფანიძე, ალ. ნანიშვილი, კიტა აბაშიძე, გრ. რცხილაძე, ძმები გ. და ა. დეკანოზიშვილები და სხვები. 1901 წლის გაზაფხულზე მათ საზღვარგარეთიდან ახლადდაბრუნებული არჩ. ჯორჯაძეც შეუერთდათ.

თ. სახოკიას თქმით: „ეს ის დრო იყო, როცა მომწიფდა აზრი საქართველოს სოც.-ფედერალისტთა პარტიის დაარსებისა და საზღვარგარეთ საკუთარი არალეგალური ორგანოს გაჩენისა. პარიზიდან გამოსტუმრებულ არჩ. ჯორჯაძესთან ერთად წამოვიდა გ. დეკანოზიშვილიც. სწორედ იგი შეუდგა ზრუნვას ორგანოს დასაარსებლად და საკუთარი სტამბისათვის საჭირო თანხის შეგროვებას; ხოლო თბილისში დაარსებულმა პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა არჩილ ჯორჯაძეს დაავალა პარიზშივე დაბრუნება და რედაქტორობა პარტიის ორგანოსი, რომელსაც „საქართველო“ უნდა რქმეოდა“ [5, 210].

არჩილ ჯორჯაძეს იმ დროისათვის უკვე შემუშავებული ჰქონდა „ერთიანი მოქმედების“ თეორია, რაც „ის ოქროს შუაღვინე აღმოჩნდა, რომელიც გამორიცხავდა უკიდურეს დაპირისპირებებს. არჩ.

ჯორჯაძე პატრიოტულად და ზომიერად განწყობილ საზოგადოებას ფიქრთა მპყრობელად მოეწვინა. „ცნობის ფურცლის“ ჯგუფისაკენ ქართული ინტელიგენციის საუკეთესო ძალები, მოსახლეობის საშუალო ფენების მრავალრიცხოვანი მხარდამჭერები და თანამოაზრეები დაიდრნენ“ [7, 31].

არჩ. ჯორჯაძის ეს თეორიული ნააზრევი, განსაკუთრებულად ღირებული იყო იმით, რომ იგი ილია ჭავჭავაძისა და ნიკო ნიკოლაძის მოსაზრებებიდან ამოზრდილი, ქართველი ხალხის კონსოლიდაციას ისახავდა მიზნად და არა რომელიმე კონკრეტული კლასის, თუ ფენის წარმომადგენლებს ანიჭებდა პრიორიტეტს.

უნდა აღინიშნოს, რომ ილიას იდეებთან მიახლოების ერთგვარ ინდიკატორად იქცა, იმ ხანებში ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარი ერთი ფაქტი – 1901 წელს ქართველი თავად-აზნაურობის მიერ საქართველოს რუსეთთან შეერთების საუკუნოვანი იუბილის პომპეზური აღნიშვნა. ცნობილია ისიც, რომ ილიასა და მის თანამოაზრეთა დიდ ნაწილს ამ „დღესასწაულში“ მონაწილეობა არ მიუღიათ. რაც დიდად საწყენად დარჩენილა თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თავად დ. მელიქიშვილისათვის და ერთ-ერთი შეხვედრის დროს, – როგორც თვით შემსწრე მიხ. ჯავახიშვილი წერს, – ამის გამო ილიასათვის საყვედური შეუკადრებია: „თავად-აზნაურთა საკრებულოს იშვიათად ეკარებით, ხოლო იუბილეს მტრულად შეხვდით“. ილიას პასუხი არ დაუხანებია და მკვახედ მიუგია: – სასიხარულო არაფერია, საქვეყნოდ თავი მოგვჭერით, ამ იუბილემ ქართველი ხალხი ორ ბანაკად გაარღვია, თქვენ, ერთი მუჭა ჩინოსანნი, გაღმა დგებართ, ხოლო ხალხი გამოღმა დარჩა. მაგრამ ზოგი ჭირი მარგებელია: ამ იუბილეს წყალობით, ხალხი მტერ-მოყვარის გარჩევას ისწავლის და მისი ეროვნული შეგნება საბოლოოდ ჩამოყალიბდება“ [4, 550].

აღსანიშნავია ისიც, რომ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია, ორგანიზაციულად იმ დროისათვის ჯერ კიდევ ჩამოყალიბებული არ იყო. ასეთი პოლიტიკური ორგანიზაციის შექმნა, რომლის ერთ-ერთი ძირითადი საპროგრამო საკითხი ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიის მოთხოვნა იქნებოდა, 1901 წლის შემოდგომაზე განიხილეს „ცნობის ფურცლის“ ირგვლივ შემოკრებილმა ახალგაზრდებმა და გადაწყვიტეს – ამ საქმის სახელმძღვანელოდ აერჩიათ ხუთკაციანი კომიტეტი. კომიტეტის შემადგენლობაში კი შეყვანილ იქნენ: არჩ. ჯორჯაძე, გიორგი ლასხიშვილი, გიორგი დეკანოზიშვილი, ვლადიმერ ლორთქიფანიძე და ანდრია დეკანოზიშვილი. მათ ისიც კარგად მოეხსენებოდათ, რომ ამ მიზნის განსახორციელებლად სა-

ჭირო გახდებოდა საკუთარი ბეჭდური ორგანოს არსებობა, რაც იმდროინდელი მძიმე საცენზურო პირობების გამო საქართველოში შეუძლებელი იქნებოდა. ამიტომ კომიტეტმა გადაწყვიტა – ასეთი ორგანოს გამოცემა საზღვარგარეთ განეხორციელებინათ. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად, როგორც გ. ლასხიშვილი თავის „მემუარებში“ მიუთითებს – „საზღვარგარეთ თავისუფალი გამოცემისათვის გაგზავნილ იქნენ ორი საუკეთესო წევრი ჩვენი კომიტეტის – ერთი იდეურად ხელმძღვანელობისათვის, არჩილ ჯორჯაძის სახით და მეორე – ორგანიზატორულ და პრაქტიკულ მოღვაწეობაში დახელოვნებული გიორგი დეკანოზიშვილი, მათ მესამე ამხანაგად მივეციტ ჩვენ პარტიაში პირველი მერცხალთაგანი მუხა-ასოთამწყობი მიხეილ კიკნაძე. 1902 წლის გაზაფხულზე „სამივენი გავისტუმრეთ საზღვარგარეთ შეკრებილი ფულითა და დირექტივით, რომ გაზეთი დაუყონებლივ დაარსებულიყო“ [2, 189].

პარიზში ჩასულ ამ სამეულს ერთი წელი დასჭირდა, რათა გაზეთის გამოცემის ორგანიზაციული საქმეები მოეგვარებინა. (ამ საკითხზე უფრო ვრცლად იხ. დ. შველიძე, პოლიტიკური პარტიების წარმოშობა საქართველოში, ნაკვეთი I, ფედერალისტები, თბ., 1993, თავი 3). აქ ვიტყვიტ მხოლოდ, რომ გაზეთ „საქართველოს“ პირველ ნომერს ხელს აწერენ: რედაქტორი არჩ. ჯორჯაძე და გამომცემელი გ. დეკანოზიშვილი. გაზეთის ტირაჟი 600 ეგზემპლარი იყო, მოცულობა 8 გვერდი, ხოლო პერიოდულობა ორკვირეული. აქვე აღვნიშნავთ იმასაც, რომ გაზეთ „საქართველოს“ სულ 51 ნომერი გამოვიდა; მათგან 1903 წელს – 7, 1904-ში – 19, ხოლო 1905-ში – 25. გაზეთი იმავე სახელწოდებით („La Georgie“) ფრანგულენოვან მკითხველსაც მიეწოდებოდა [19, 18].

გაზეთის მიზნები და ამოცანები ჩამოყალიბებულია პირველი ნომრის სარედაქციო წერილში – „ქართულ თავისუფალ ორგანოს დაარსების საჭიროება“, სადაც ნათქვამია: „მოთმინებასაც თავისი საზღვარი აქვს. ასი წელიწადი მონურის და შეურაცხყოფილის სიცოცხლისა, ძნელი და მძიმე განსაცდელი ყოფილა. გვეყო რაც გადაგვხდენია და მოგვითმენია. მწუხარებამ და დაჩაგვრამ ერთი რამ კარგი გვასწავლა: შევიგენით, რომ ვისაც სიცოცხლე ჰსურს, თავის თავს თვითონვე უნდა მოუაროს და, რომ თავისუფლება ხელგაუნძრევლად არავის ენიჭება.“

ჩვენს უკან ბნელი წარსულია... ვეცდებით გამოვააშკარავოთ და გამოვამჟღავნოთ ყოველი ძალმომრეობა და უსამართლობა, რომელსაც რუსეთის მთავრობა ჩვენში სჩადის... ვინც ამ გაზეთში გამოთქმულ აზრებს არ დაეთანხმება, წინდანინვე მოვახსენებთ, რომ

მზად ვართ დაფუთმით ადგილი ყველას, ვისაც კი რაიმე სათქმელი აქვს ქართველი ხალხის საკეთილდღეოდ. ამგვარი წერილებისათვის ჩვენს ორგანოში ცალკე განყოფილება გვექნება“... [12, 1].

გაზ. „საქართველოს“ №2-ში დაბეჭდილი წერილი „საქართველოს ეროვნული თვით-მმართველობა“ პროგრამული ხასიათისაა, რომელშიც წინა პლანზეა წამოწეული „ვინაობის და ეროვნების“ დაცვის აუცილებლობა, რის დამცველადაც, „კანონიერ ნიადაგზე აგებული ეროვნული ავტონომია“ მიჩნეული, ხოლო „ეროვნობის დაცვა, დაცვაა დედა-ენისა, ურომლისოდაც ხალხს აზრის გამოსათქმელი იარაღი ეკარგება... და ენა, რომ შევინახოთ, მოვიპოვოთ პოლიტიკური დანესებულებანი, გადავარჩინოთ ხალხის ნაშრომი და ნაამაგარი, საჭიროა მოისპოს ადმინისტრაციული რეჟიმი და საქართველოს ეროვნულ ავტონომიას საძირკველი ჩაეყაროს... ეროვნულ ავტონომიას შეუძლია ჩვენი მოთხოვნილებანი დააკმაყოფილოს, რათა ჩვენის ვინაობის მფარველად და მცველად შევიქმნეთ“... [13].

სტატიის ავტორის აზრით, – თუ საკითხი ტერიტორიული ავტონომიის მოთხოვნის კუთხით დაისმებოდა, მაშინ მომავალი ავტონომიური საქართველოს შემადგენლობაში უნდა შესულიყვნენ: „აფხაზეთი, რომელშიაც ბევრი მეგრელი სახლობს, სამურზაყანო, სამეგრელო, სვანეთი, გურია, იმერეთი, ლაზისტანის ნაწილი, ახალციხის მაზრა (ძველი სამცხე-საათაბაგო და ჯავახეთი), ქართლი, კახეთი, მთიულეთი, ხევი (დარიალამდე), სომხითი, თუშ-ფშავ-ხევსურეთი, საინგილო“ [13].

წინამდებარე სტატიაში გაზეთში დაბეჭდილი ყველა მასალის ავ-კარგზე საუბარს არ ვაპირებთ. ამჟამად მხოლოდ რედაქციის იმ ღვანლის წარმოჩენა გვსურს, რომელიც მას საქართველო მართლმადიდებელი ეკლესიის საკითხთა გაშუქებაში მიუძღვის. მითუმეტეს, რომ დღემდე ამისათვის სათანადო ყურადღება არავის მიუქცევია. არადა ის რამდენიმე პუბლიკაცია, რომლებიც გაზ. „საქართველოშია“ დასტამბული, იმ დროინდელი მკაცრი საცენზურო პირობების გამო, აქ დღის სინათლეს ვერ იხილავდა და ქართველი მკითხველი საზოგადოებისათვის მიუწვდომელი დარჩებოდა.

მათგან უპირველესია რუსეთის წმ. სინოდის ობერ-პროკურორის პობედონოსცევის მიერ საქართველოს ეგზარქოსისადმი გაგზავნილი წერილი, რომელიც სახელმძღვანელო დოკუმენტს წარმოადგენს იმის წარმოსაჩენად თუ როგორ უნდა განეხორციელებინათ საკვირაო და სამრევლო სკოლებიდან ქართული ენის სწავლების ამოღება, რომელიც იმპერიასთან განაპირა ქვეყნის გაერთიანებას უშლიდა ხელს. იქვე მითითებული იყო იმაზეც, თუ რაგვარად უნდა ექციათ ქართუ-

ლი სკოლები რუსული ენის გავრცელების იარაღად, რათა ქართული ენის სახსენებელი მოესპოთ სამეგრელოში, სვანეთსა და აფხაზეთში... სიტყვა რომ არ გამიგრძელდეს აქვე მთლიანად მოვიტანთ გაზეთ „საქართველოში“ გამოქვეყნებულ დოკუმენტს, რომელიც დღევანდელ მკითხველს შესაძლებლობას მისცემს თავად განსაჯოს იგი.

„უსამღვდელოესო მეუფეო,
მონყალეო ხელმწიფეე და მწყემსმთავარო.

კავკასიის საკვირაო სკოლების მდგომარეობის შესახებ ამა წლის 18 იანვარს (№2610) თქვენის უსამღვდელოესობის მიერ მოწერილი აზრი, საერო განათლების მინისტრს ეუწყა. სტატუს სეკრეტარი დელიანოვი მატყობინებს, კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველისაგან ამ საგნის შესახებ ქალაქი მომივიდაო... ტაინი სოვეტნიკის იანოვსკის აზრით, ყოვლად შეუძლებელია „ამიერ კავკასიაში მარტო ადგილობრივ სამღვდელოების ხელში დარჩეს სამრევლო და საკვირაო სკოლების განმგებლობა, რადგან ის სამღვდელოება მთავრობის სურვილს, განაპირა ქვეყნის იმპერიასთან გაერთიანებისას, ხელს შეუშლისო. ამიერ-კავკასიაში უმაღლეს სასულიერო წოდებას მომეტებულად ქართველები შეადგენენ (ორი საეპარქიო და ორიც ვიკარი ეპისკოპოსი). ქართველები არიან სკოლების გამგენი და ხელმძღვანელნი ბლალოჩინები, მღვდლები და მასწავლებლები. სოფლებში რუსის სამღვდელოება არ არის, ქალაქებში კი ძლიერ ცოტაა. ქართველი სამღვდელოება მოუმზადებელია, ბევრს არ ძალუძს სამღვთო სჯულის სწავლება. რუსული ენაც სუსტად იციან. სოფლელ მღვდლებს შორის ისეთებსაც შევხვდებით, რომ რუსული სრულებით არ იციან. და თუ სკოლის უფროსი გამგე-მღვდელი კოჭლობს რუსულ ენაში, ამ საგანს საერო მასწავლებლნი, რომელნიც ყოველთვის ქართველები არიან, როგორღა უნდა ეკიდებოდნენ. ზოგიერთ მათგანს ქრისტიანული ღრმა და გულწრფელი რწმენა აქვთ და ჰგონიათ, რომ სამრევლო სკოლის აზრი რუსული ენისა და რუსული კულტურის გავრცელება არ არის. სამღრთო წერილის წიგნები ქართულადაც გვაქვსო და რუსული საჭირო აღარ არისო. გარდა ამისა მხედველოაში თუ მივიღებთ იმ გარემოებას, რომ სკოლების მახლობელი გამგეობა ადგილობრივი სამღვდელოების ხელშია და, რომ ახალგაზრდა ქართველთა წრეებში, საიღამაც სოფლის მასწავლებლები გამოდიან, საქართველოს განთავისუფლების აზრი ტრიალებს, ადვილად წარმოიდგენს ადამიანი, თუ რა მიმართულებისა უნდა იყონ ეს სკოლები და რა ხასიათი ექნება აქაურ სწავლებას.

ქართველ საზოგადოებაში თუ რამდენად ძლიერია ქართული ენის გავრცელების სურვილი, შემდეგი გარემოება აშკარად გვიმტკიცებს, ქართველთ (ივერიელთ) ტომს ეკუთვნიან – ქართლები,

იმერლები, მეგრელები და სვანები. ქართველებისა და იმერლების ენა ძლიერ მიაგავს ერთმანეთს. ხოლო ორ უკანასკნელ ენას არავითარი მზგავსება არა აქვთ ამათთან. ასე რომ სვანს და მეგრელს არც ერთმანეთისა ეყურებათ რა, არ ეყურებათ არც იმერულისა და არც ქართულისა. მეგრული და სვანური ენა ქართულ ენას უფრო დაშორებულია, ვიდრე პოლონური და ჩეხური – რუსულს.

სამღვდელოება და სკოლები რაღას აკეთებენ? აქაო და ქართველ ტომთ საეკლესიო წიგნები ქართულ ენაზე აქვთ შედგენილი, მეგრელების და სვანების ბავშვებს თავდაპირველად ქართულ ენას ასწავლიან, ხოლო შემდეგ ამისა რუსულს. ორის წლის განმავლობაში ორი ენის შესწავლა სკოლაში შეუძლებელია. და რადგან სკოლების ზედამხედველნი და მასწავლებელნი ქართველნი არიან, რასაკვირველია, უმთავრეს ყურადღებას ქართულ ენას აქცევენ. რაკი ეს ასეა, აშკარაა, ქრისტიანული და რუსული კულტურის გავრცელებისათვის თავდაპირველად, ვიდრე სვანეთსა და სამეგრელოში პირველდანყებით და სამრევლო სკოლებს გახსნიდნენ, საჭიროა სამართო წიგნების გადათარგმნა სვანურ და მეგრულ ენაზედ. საჭირო იყო აგრეთვე ღვთის-მსახურების შემოღება ამ ენებზედ, და ამ ენების საშუალებით რუსული ენის შესწავლა ისე, როგორც საერო სკოლებშია. ხოლო სამრევლო სკოლებში ამ გარემოებას არ აქცევენ ყურადღებას და ადგილობრივი სამღვდელოება სამოსწავლო უწყებას ხელს არ უწყობს მეგრულ და სვანურ ენებზე ლოცვების გამოცემაში. ხალხი, რომელსაც ქართული არ ესმის, ეკლესიაში არ დაიარება – ეს კიდევ ახალი საბუთია სამღვდელოებისათვის იმის დასამტკიცებლად, რომ ქართული ენის სწავლებაა საჭიროო. მეგრულ ენაზე სამოსწავლო უწყების მოხელეების მიერ გადათარგმნილი ლოცვები ადგილობრივმა სამღვდელოებამ დაიწუნა, რადგან შეცდომებით ყოფილა ნათარგმნი, ხოლო რა შეცდომები შეიპარა ნათარგმნში, ან როგორ უნდა შესწორდეს იგი არას ამბობენ.

ქართული ენის გავრცელების სურვილი ისეთი ძლიერია, რომ აფხაზურშიაც კი, რომლებსაც ქართველებთან არავითარი კავშირი არა აქვთ რა, არამც თუ წირვა-ლოცვა ქართულია, სამრევლო და მართლმადიდებლობის აღმდგენელ საზოგადოების სკოლაშიაც კი აფხაზების შვილებს ქართულ ენას ასწავლიან. მხოლოდ ამ უკანასკნელ დროში სოხუმის ახლადგამწესებულ ეპისკოპოსისაგან (რუსია) მივიღეთ ცნობა, ლოცვებს აფხაზურადაც გადავათარგმნინებ და სკოლებშიაც რუსული ენის სწავლებას ყურადღებას მივაქცევო.

ყოველივე ამას ვაუწყებ რა თქვენ უსამღვდელოესობას, მოვალედ ვსთვლი ჩემს თავს უმორჩილესად გთხოვოთ, მოწყალეო მეუ-

ფეო და მწყემსმთავარო, მაცნობოთ თქვენი აზრი კავკასიის ოლქის მზრუნველის მიერ წარმოდგენილ მოსაზრებათა შესახებ.

გავედრებთ რა თავსა ჩემსა ლოცვათა შინა თქვენთასა, პატივი მაქვს დავშთე თქვენის უსამღვდელოესობის, მონყალე მეუფის, უმორჩილეს მონა-მოსამსახურედ.

პობედონოსცევი“ [12, 14].

უნმინდესი სინოდის ობერ-პროკურორის პობედონოსცევის მიერ საქართველოს ეგზარქოსისათვის გამოგზავნილ ამ დოკუმენტს თან ახლავს გაზეთის რედაქციის პოზიციის გამომხატველი წერილი, რომელშიც ნათქვამია: „როგორც მოგეხსენებათ, პობედონოსცევს მალალ წრეებში დიდი გავლენა აქვს. მისი აზრი ამა თუ იმ კითხვის შესახებ მთავრობის აზრად ჩაითვლება... ამიტომ ვისაც კიდეც ჩვენში შერჩა მთავრობის იმედი და მისი გულკეთილობის სჯერა, ნაიკითხოს გულდასმით აქ დაბეჭდილი წერილი და მიხვდება, რომ რუსეთის მთავრობას დედამიწის პირიდან ქართველი ხალხის აღგვაჰსურს“ [13, 14].

გაზ. „საქართველო“ ადგილს უთმობდა რა იმერეთის თავად-აზნაურობის კრების გადაწყვეტილებას, სამეგრელოსა და სვანეთის სკოლებსა და ეკლესიებში ქართული ენის გამოყენების აღიარებასთან დაკავშირებით, ხაზგასმით გამოყოფდა სენაკისა და ზუგდიდის მაზრების თავად-აზნაურთა მოხსენებებში დაფიქსირებულ პოზიციას: „ქართული ენა მუდამ ყოფილა და არის ჩვენი საერთო დედა ენა; ამ ენაზედ პირველად გავიგონეთ სიტყვა ღვთისა, მხოლოდ ამ ენაზედ გვაქვს ლიტერატურა; ეს ენა ყველამ იცის თავად-აზნაურიდამ დაწყებული, უკანასკნელ მწყემსამდეო“. ხოლო გაზეთ „საქართველოს“ რედაქციას ასე მიმართავდნენ: „თქვენს გაზეთში დაბეჭდილი პობედონოსცევის წერილიდამ აშკარად სჩანს, რომ მთავრობის ნადილია ქართველთა ტომის განცალკევება და ერთმანეთისაგან დაშორება. პობედონოსცევი ამბობს: – „აქაო და ქართველ ტომთა საეკლესიო წიგნები ქართულ ენაზედ აქვთ შედგენილი, მეგრელების და სვანების ბავშვებს თავდაპირველად ქართულ ენას ასწავლიანო... ამიტომ საჭიროა ქრისტიანული და რუსული კულტურის გავრცელებისათვის სამღვთო წიგნების გადათარგმნა სვანურ და მეგრულ ენებზეო“.

თავის მხრივ, გაზეთი იწონებდა სამეგრელოს თავად-აზნაურთა კრების დადგენილებას და წერდა: მთავრობამ უნდა გაიგოს, რომ მთელი საქართველო მონებისაგან არ შედგებაო... [14, 5].

გაზ. „საქართველოში“ ქართული ეკლესიის საჭირობოროტო საკითხებზე გამოქვეყნებულ მასალათაგან განსაკუთრებით საყურადღებო

და საქმის სიღრმისეული წვდომით გამოიჩინა, ვრცელი წერილი, რომელიც 1903 წლის 1 ივლისის ნომერშია დასტამებული. „ვოსტორგოვი და ჩვენი გათახსირება“, – ასეა დასათაურებული ეს მასალა. „X“-ის ფსევდონიმს ამოფარებული ავტორი წერილის დასაწყისშივე პირდაპირ აცხადებს: „სამინელ ამბებს მოგვითხრობს მატთანე სპარსელების საქართველოში ბატონობის შესახებ“, თუმცა დღეს ვითარება შეცვლილია და ყველას პირადი არსებობა უზრუნველყოფილია; არავინ არ ნარეკავს ჩვენს ქალებს და ვაჟებს ჰარამხანებში; ჩვენი სარწმუნოებრივი შეხედულებანი, ჩვენი ეკლესია ხელშეუხებლად არის აღიარებული კანონის მიერ... მაგრამ ჩვენი არსებობა უზრუნველყოფილია იმდენად, რამდენად დაგვიკარგავს ქართველობა და უარგვიყვია ჩვენი ეროვნება... იძულებულნი ვართ, ვილოცოთ არა დედა-ენაზე, არამედ სლავურსა და რუსულს ენაზე... გარეგნულად აყვავებული და ამწვანებული ქვეყანა, გახრწნილია და მოწამლული შიგნით. შიშსა და მუქარას მოუკლავს გამბედაობა, ქრთამს და ჯილდოს გაურყვინა სინდისი... დღევანდელი მტერი პირდაპირ კი არ მოვიდა ჩვენზე, არამედ ნელ-ნელა შემოგვეპარა, მატყუარობით, მოსყიდვით, გაიძვერობით; ყოველი მოქალაქეობრივი და ეროვნული უფლება ნაგვართვა, მოგვისპო თვითარსებობა, მოგვისპო სინდისი, გრძნობა თავისუფლებისა, შეგვაჩვია, შეგვაყვარა მონობა. პირდაპირ მტერს შევებრძობოდით, მაგრამ მოვიდნენ მოყვრებად, დაგვათვრეს ტკბილის სიტყვებით, მზრუნველობისა და სიყვარულის სახელით შემოგვაცალეს ყოველივე უფლება და ღირსება. ვართ ეხლა ტიტველნი და შიშველნი, დავკარგეთ თავისუფლება, დავკარგეთ სინდისი!.. ნაგვართვეს შეგნება უუფლებობისა!.. ერი თუ ადამიანი, რომელსაც შეგნებული აქვს თავისი მდგომარეობა, ცოცხალია. ჩვენ კი არასა ვგრძნობთ, რაც ჩვენს გარშემო ხდება... თავის მიზანს საუცხოოდ მიაღწია რუსეთის მთავრობამ 100 წლის განმავლობაში; ეს ბრწყინვალედ დავამტკიცეთ ჩვენ იუბილეს გადახდით, როდესაც ვიდღესასწაულეთ ასის წლის მონობა და მუხლმოდრეკილნი მივესალმენით რუსეთის იმპერატორს... რასაკვირველია, ვერ ვიგრძენით ის მეტად ირონიული მძიმე შეურაცხყოფა, რომელიც მოგვაყენეს ხელმწიფის რესკრიპტის საშუალებით. პირიქით, რესკრიპტი უდიდეს მონყალებად მივიღეთ და მეტის სიხარულისაგან ცრემლიც კი წამოგვივიდა თვალებიდან“ [15, 6].

წერილის ავტორს ყველაზე უფრო სავალალოდ და ერის ღირსების გათახსირებად ის მიაჩნია, რომ ვილაც უტიფარი საეკლესიო მოხელის ნებაზე დამოკიდებული გამხდარა მისი ბედი.

„ჩვენის დღევანდელის მდგომარეობის, დაცემისა და გარყვნილების დასასაურათებლად საკმარისია ვოსტორგოვის გაბატონება ჩვენში

და ჩვენი საზოგადოების განწყობილება მასთან. ჩვენში დღეს ერთადერთი მთავრობაა – მთავრობა ვოსტორგოვისა. აქ არ ბრძანებლობენ არც უმაღლესი მთავრობა, არც გოლიცინი (გულისხმობს მეფისნაცვალ გოლიცინს – გ. ს.). ერთად-ერთი მბრძანებელი და გამგე საქართველოსი არის დღეს ვოსტორგოვი. ამ ყოველად უზნეო, მახინჯმა, ჯაშუშმა, ამხანაგების გამცემმა, მკვლელმა და იშვიათის გარყვნილების ადამიანმა, ხელი ჩასჭიდა პეტერბურგის მთავრობის პოლიტიკას და საქართველო გაიხადა თავისი ამალლების და წარმატების ასპარეზად. ასეთ გაიძვერებს და სულიერ ღატაკებს, როგორც არის მამა ვოსტორგოვი, მხოლოდ მწუხარების და უბედურების გავრცელება შეუძლია. მაგგვარ მახინჯებს ათასობით ჰქმნის ისეთი პოლიტიკა, რომელსაც ადგია რუსეთის იმპერია. ვოსტორგოვები მუდამ მზად არიან ამ პოლიტიკის სამსახურისათვის... ვოსტორგოვმა იცის, რა სწადია უმაღლესს პოლიტიკას და მოუსვენრათ ემსახურება ამ პოლიტიკის განხორციელებას ჩვენში. მხოლოდ მან ჩამოხადა ნილაბი რუსეთის პოლიტიკას და იშვიათის მოურიდელობით, გამბედაობით, უსინდისოთ და სასტიკათ შეუდგა საქმეს.

რა სწადია ჩვენთვის მთავრობას, რა სწადია ვოსტორგოვს? ადამიანების პირდაპირ ამოყლეთა – ველური, ბარბაროსული საშუალებაა, რომელსაც გაკიცხავენ ევროპიელები. ეს კარგად იციან ვოსტორგოვმა და მისმა უფროსებმა. ამიტომ უფრო შესაფერს, კულტურულ საშუალებას მიმართავენ – ქართველების ზნეობრივ ამოყლეთას, მათს ზნეობრივ და გონებრივ გადაგვარებას, უსულო და უგულო მანქანებათ გარდაქმნას... წინათ თუ მთავრობა ცოტაც არის გვერიდებოდა და პირდაპირ არ ამჟღავნებდა თავის განზრახვას, ვოსტორგოვი ამკარად გაიძახის: ჩვენი ერთა-ერთი მიზანი თქვენი გარუსებააო; თქვენი არც განათლება გვინდა, არც ზნეობრივი ამალლება, არც ქრისტიანობის აღდგენა თქვენ შორის, სკოლებს თუ ვაარსებთ მხოლოდ ერთი მიზნით, რომ გაგარუსოთ ქართველები... ყოველი საშუალება კარგია, – ამბობს ვოსტორგოვი რაიც ქართველების გარუსებას ემსახურებაო" [18, 5].

წერილში არაერთი თვალსაჩინო ფაქტია მოტანილი იმის საილუსტრაციოდ, თუ რაებს სჩადიოდნენ ეგზარქოსი ალექსი და მისი მარჯვენა ხელი დეკანოზი ვოსტორგოვი, ქართველი ერისა და მისი ეკლესიის საზიანოდ; განსაკუთრებით აფხაზეთის, სვანეთისა და სამეგრელოს მოსახლეობის ცნობიერების შესაცვლელად, რისთვისაც მათთვის ქართული ენის დავინყება და რუსულით მისი შეცვლა მიაჩნდათ უებარ საშუალებად. კორესპონდენტის თქმით: „დიდი ხანია ცდილობდა მთავრობა სამეგრელოს სკოლებიდან ქართული ენის

გამოდევნას, მაგრამ რაკი ეს უკმაყოფილებას ინვევდა მკვიდრთა შორის, ამიტომ ვერ ბედავდა მარჯვედ მოეკიდა საქმისათვის ხელი. დღეს ვოსტორგოვმა საქმეს მეორეს მხრით შემოუარა და განიზრახა იმავე მიზნის მიღწევა სხვა გზით: გამოდევნა სამეგრელოს (აგრეთვე სვანეთის) სამრევლოს სკოლებიდან ქართული ენა იმ მოსაზრებით, რომ რაკი ქართული წერა-კითხვა არავის ეცოდინება, სამღვდულოებაც დაივინყებს ქართულს წერა-კითხვას და მაშინ ეკლესიიდანაც ადვილი გამოსადევნი იქმნება ქართულიო“ [15, 5].

ამ ჩანაფიქრის განსახორციელებლად უმოგზაურიათ ეგზარქოსსა და დეკანოზ ვოსტორგოვს 1903 წლის გაზაფხულზე დასავლეთ საქართველოში თავის თანმხლებ პირებთან ერთად. მათ შორის, ყოფილა ნამდვილ რუსზედ უარესი, გარუსებული ქართველი, უჯიშო და გამცემი ეპისკოპოსი დიმიტრი აბაშიძეც.

კორესპონდენტის შეფასებით: ეს იყო არა სულიერი მამების, არამედ მტარვალების მოგზაურობა, რომლის ამალაში შედიოდნენ ჯაშუშები, პოლიციელები და დარაჯები. „სამეგრელოში დიდად უკმაყოფილოთ მიეგებნენ სულიერ მგზავრებს. იშვიათი და მეტად სასიამოვნო მოვლენაა მეგრელების საქციელი. მათ კარგად შეიგნეს, თუ რა მოელოდათ სამეგრელოდან ქართულის ენის განდევნით. მათ ესმით, რომ სამეგრელოს სხვა საქართველოდან განშორება უბედურება იქმნება ერთისაც და მეორისიც. ტყუილად გაიძახოდა ვოსტორგოვი: მეგრელებო, თქვენ ქართველები არა ხართ, ქართული ენა თქვენი ენა არ არისო! – ფოთში მეგრელთა დეპუტაცია შეხვდა ეგზარქოსს და პირდაპირ უთხრა: ჩვენ არც მთავრობის წინააღმდეგ ვამბობთ რასმე, არც რუსულის ენის წინააღმდეგ, მხოლოდ გთხოვთ, რომ ჩვენი სამშობლო ქართული ენა დასტოვოთ ჩვენს სკოლებშიო. სულელმა ეგზარქოსმა შეატყო, რომ საქმე ცუდად იყო და სრულიად ლაპარაკი აუკრძალა დეპუტაციას. ეგზარქოსს გამოექომაგა ვოსტორგოვი და მეგრელებს უზრდელათ უპასუხა: თქვენი შუამდგომლობა უადგილოა და უსინდისოო! მეგრელებმა თავიანთი თხოვნა კვლავ განიმეორეს, როდესაც ეგზარქოსი ქალაქის თავთან იყო სადილათ. აქ რამდენიმე მწარე სიტყვა მოხვდა ეგზარქოსს და ვოსტორგოვს...

მთელი სამეგრელო შეინძრა ეგზარქოსის და ვოსტორგოვის მოგზაურობის გამო. ყველგან ემზადებოდნენ, განსაკუთრებით ხობში, საჩივლელათ და სათხოვნელად. ჯაშუშების შემწეობით ვოსტორგოვმა გაიგო ესა და დაუყონებლივ შესცვალა მოგზაურობის მარშრუტი... მეგრელებისას არსად არ ჩერდებოდნენ, არც არაფერს ჭამდნენ მათთან. მეგრელები მაინც ყველგან მრავლათ ხვდებოდნენ და ემუდარებოდნენ სამშობლო ენას ნუ მოგვისპობთო... ეგონათ ამ მოგზაურო-

ბის შემდეგ ეგზარხოსი და ვოსტორგოვი აზრს შეიცვლიდნენ, მაგრამ პირიქით მოხდა, მათ უფრო ფართო პროექტი შეადგინეს და განზრახული აქვთ – აჭარის, სამეგრელოს და სვანეთის ერთ ეპარქიათ შედგენა და ამ ეპარქიაში რუსი ეპისკოპოსის დანიშვნა, და ამ გზით სურთ, უფრო გაიაღვილონ გარუხების საქმეო“, – ნერდა კორესპონდენტი და ქართული საზოგადოების დაბეჩავებაზე და სასონარკვეთამდე მისვლაზე ამახვილებდა ყურადღებას: „ვოსტორგოვმა იცის, რომ ქართველი საზოგადოება პროტესტს არ გამოაცხადებს (მეგრელთა პროტესტი სრულიად იშვიათი იყო), გულგრილად შეეყურებთ მის მოღვაწეობას და ისიც ცინიკურად დაგვცინის, ფეხით გეთელავს, გვაფურთხებს, ყოველდღე შეურაცხვეყოფს, მოურიდებლად გამოთქვამს ზიზღს ჩვენდამი და პირდაპირ გვეუბნება: მეტის არაფრის ღირსი არა ხართ ქართველებიო“ [15, 6].

თითქოს ნათქვამი საკმარისი არ არისო და ერთი კონკრეტული მაგალითი მოჰყავს ამ თავხედი რუსის მხრიდან, ქართველთა მიმართ უკიდევანო ზიზღის გამოხატულებისა: „1902 წლის აპრილში ვოსტორგოვი სტუმრად ყოფილა სამასწავლებლო სემინარიის დირექტორთან სადილათ, სადაც ორი თუ სამი ქართველი მასწავლებელიც ყოფილა. სადილის დროს, ვოსტორგოვს ქართველების „სადღეგრძელო“ დაუღევია და უთქვამს: „არავინ მეზიზღება ისე, როგორც ქართველები; ქართველები თავიდანვე საზიზღრები იყვნენ; თუმცა საქართველო ღვთისმშობლის ნილხვედრია, მაგრამ იმანაც ვერ გაბედა ამ საზიზღარ ხალხში წამოსვლა და სხვები გამოაგზავნაო; სამართლიანად სწყევლიდა საქართველოს ყველა ეგზარხოსი და სწყევლის დღესაც: ქართველები მუდამ მტრები არიან ჩვენი; მათ კი არ შემოუერთებიათ, არამედ სომხებმა შემოგვიერთეს საქართველოო; ყველა ქართველი ჩვენი მოღალატეა, გნებავთ ისეთი, როგორიცაა გენერალი ამილახვარი, რომელიც ყველაფრით დავაჯილდოვებთ რუსებმაო და სხვ. ამის მსმენელმა საზოგადოებიდან ხმაც კი არავინ ამოიღო ვოსტორგოვის წინააღმდეგო“. სტატიის დასასრულს კორესპონდენტი „X“ დაასკვნია:

„ასეთია რუსეთის პოლიტიკის შედეგი ჩვენში. ასე დაგვცა ჩვენ რუსეთის მთავრობამ: წაგვართვა და გვართმევს ყოველივე უფლებას;

* „X“-ის ფსევდონიმს ამოფარებული კორესპონდენტი, ჩვენის აზრით, ეპისკოპოსი კირიონი (საძაგლიშვილი) უნდა იყოს. ამის საფუძველს გვაძლევს ნერილის სტილი და ზოგიერთი ფაქტი, რომლებიც მის სხვა პუბლიკაციებშიც გვხვდება. ბევრის მიმანიშნებელია, ისიც, რომ ქართველ საეკლესიო მოღვაწეთაგან, ვოსტორგოვს ყველაზე მეტად ეპისკოპოსი კირიონი ჰყავდა ამოჩემებული, რომლის დევნას იგი გამუდმებით აწარმოებდა.

ნაგვართვა ყოველივე თავმოყვარეობა; მოგვისპო ხმა თავის დაცვისა და მტარვალობის წინააღმდეგ შებრძოლების სურვილი. ასეთმა პოლიტიკამ შექმნა ჩვენში ის თავზედ-ხელალებული და აღვირაშვებული მონური პარტია, რომლის მეთაურია დღეს ტფილისის მარშალი მელიქიშვილი. ჩვენ რომ მონურის გრძნობით გაჟღენთილი არ ვიყოთ, გვეკონდეს ნიჭი ჩვენის მდგომარეობის შეგნების, არ იყოს ჩვენში მკვდარი სურვილი თავისუფალ ცხოვრებისა, ვოსტორგოვი ვერ მოიმოქმედებდა იმის მეოთხედსაც, რასაც დღეს ჩადის. ჯაშუში დიმიტრი აბაშიძე ვერ გაბედავდა იმის დატრაბახებას, რომ ყველა ქართულს გაზეთს დავაკეტინებ მთავრობას და მერე გადავალ აქედანო!

იმდენად უფრო გვიჩაგრავენ და გვთელავენ, რამდენად უფრო გაჩუმებული ვართ!..

დრო არის მოვიგონოთ ჩვენი მდგომარეობა და ხმა ამოვიღოთ!"-ო [15, 7].

განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს და დღესაც კი ბევრ რამეზე დამაფიქრებელია, გაზ. „საქართველოს“ ფურცლებზე მოთავსებული კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომლის ავკარგზე დღევანდლამდე ყურადღება არავის შეუჩერებია. ესაა მიმართვა „მეგრელებს“ და მოწოდება იმისკენ, რათა სამეგრელოს სკოლებსა და ეკლესიებში არ დაემვათ ქართული ენის აკრძალვა და მის ნაცვლად რუსული ენის შემოღება.

„მეგრელებს

შესრულდა, რაც კაი ხანია მოსალოდნელი იყო.

რუსის მთავრობამ განდევნა სამეგრელოდან ქართული ენა. მთავრობის ღირსეულმა წარმომადგენელმა – რუსის სამღვდელობამ, განახორციელა დიდი ხნის განზრახული წადილი: სამეგრელოს სამრევლო სკოლებში აღკრძალა ქართული ენა და მის მაგიერ გააბატონა რუსული!

რუსის სამღვდელობა, რომელიც თავის სამშობლოში ფეხით თელავს იესოს მოძღვრებას, ყურმოჭრილი მონაა დესპოტიისა და მტარვალობისა, რომელიც გუნდრუკს უკმევს მონამეთა სისხლით შეღებილ ტახტს რუსეთის იმპერატორისას, რომელსაც ერთი ხმა, კრინტი არ დაუძრავს მეფისა და მისი მინისტრების ათასის უსამართლობის წინააღმდეგ, – ეს გახრწნილი სამღვდელობა საქართველოში პოლიტიკოსობს, უმაღლეს პოლიტიკას ემსახურება, – ქართველების გარუსება სწადია! „ღვთის მსახურნი, ქრისტეს მოძღვარნი ქართველი ერის „გასანათლებლად“ ვართ მონვეულნიო“. თვითონ დაცემულთ, თვითონ უკულტუროთ, თვითონ გაუნათლებელთ – უნდათ ჩვენი განათლება და ამაღლება?!

ვოსტორგოვს, ეგზარხოსს ალექსის და მის მსგავსთა სულით ლატაკებს შეუძლიათ სადმე სიკეთე შეიტანონ? ზნეობით დაცემულებს შეუძლიათ ვისიმე ზნეობის ამალღება? ბნელით მოცულებს, ბრმებს, უსინათლოებს შეუძლიათ ვისიმე განათლება? ან ადამიანის დასახიჩრება, ენის მოსპობა, სულის შეხუთვა-იქნება განათლება?

ოდესღაც დიდებულს ქართულს ეკლესიას, რომელსაც განაგებდნენ და ამშვენებდნენ მალალის გონების და სპეტაკ ზნეობის სულიერნი მამანი, დღეს დაეპატრონენ ვიღაც ვოსტორგოვები! დაეპატრონენ და ქართული ეკლესია ქართული ენის მოსასპობად და გასანადგურებელ ასპარეზად გახადეს. ქართველი ერის მტერი შეიქმნა ის ეკლესია, რომელიც ინამა ქართულმა ეკლესიამ, განაძევა ქართული ენა, ის ენა, რომლისთვისაც იღწვოდა იგი მრავალ საუკუნის განმავლობაში!

ასე შეიცვალა ყველაფერი? ასე დაეცა ქართველი ერი, აღარსად არის სული, რომელმაც იგრძნოს ასეთი ძალმომრეობა, ასეთი დამოზოგვის სამართლისა?

„მეგრელები ქართველები არ არიან, ქართული ენა მეგრელთა ენა არ არისო“. მერე ვინ გაჰყო ერთი ქართველი ერი? ვინ გათიშა სხვადასხვა თემისაგან შემდგარი ერთი ქართველი ერი? განა ერთს ენაზედ არ უქადაგებდნენ სახარებას მეგრელს, იმერელს, გურულს, ქართლელს, კახელს, მესხს? ერთ ენაზე არ ლოცულობდა მათი ეკლესია? ერთ ენაზე არ სწერდნენ მათი მწერლები? ერთის ენით არ უნაწილებდნენ ერთმანეთს თავიანთ ნუხილს, დარდს, სიხარულს და ბედნიერებას? ერთი არ იყო მათი წარსული, ერთი არ ყავდათ გმირები? განა რუსთაველი საერთო არ არის მათთვის? განა თამარი, დავით აღმაშენებელი, ერთნაირად არ უყვარს ყველას, ყველასთვის ერთნაირად ძვირფასი არ არიან? ერთი არ არის მათთვის ეროვნული თავისუფლება?

მეგრელი ქართველი არ არის, ქართველი სულით და გულით? განა ეს საეჭვოა, ეს სადავოა და ეს არ იცის რუსის მთავრობამ და მისმა სამღვდელოებამ? იცის და ძლიერ კარგადაც იცის, მაგრამ ვითომ თავს იმართლებს და თუ დღეს სამეგრელოში უნდა გააბატონოს რუსული ენა, ხვალ საქართველოს სხვა ნაწილებიდანაც განდევნის ქართულს ენას, სხვა ქართველებზედაც იხმარს უსინდისო ძალ-მომრეობას!

აშკარაა მისი პოლიტიკა, აშკარაა მისი წადილი: უნდა ქართველები ერთიან გადააგვაროს. გაარუსოს, უნდა ქართული ენა ძირიანად მოსპოს!

დრო არის თვალეები გავახილოთ, გონება მოვიკრიფოთ, ხმა

ამოვილოთ! თორემ რამდენს მეტს გავჩუმდებით, უფრო და უფრო დავეცემით, უფრო და უფრო დაგვჩაგრავენ. შეუძლებელია წაყრუება იქ, სადაც უძვირფასეს უფლებას გვართმევენ, შეუძლებელია დამუნჯება, როდესაც ენას გვისპობენ! თუ ეხლა გავჩუმდით, მალე მოვესწრებით იმასაც, რომ საკუთარ სახლშიაც აგვიკრძალავენ სამშობლო ენაზე ლაპარაკს.

ბევრი სიმწარე, ბევრი უსამართლობა, ბევრი შევიწროება გვრგებია რუსის დესპოტურ მთავრობისაგან, ვითმენდით, რადგან საოცარი მოთმენის ნიჭი მოუცია ღმერთს ჩვენთვის, მაგრამ როდესაც გვართმევენ ენას და ამით ძირში გვისპობენ ეროვნებას, გაჩუმება და მოთმენა სიკვდილია. თვითონ მთავრობა გვეუბნება – „სიკვდილი“, როდესაც დევნის ჩვენს ენას. ნუთუ არ უნდა ვუპასუხოთ ჩვენც: სიკვდილიო? არა! ჩვენი ერთად ერთი პასუხი უნდა იყოს: ბრძოლა, მხოლოდ ბრძოლა და ბრძოლა!..

არა, ჩვენ ვერ დავთმობთ ჩვენს საყვარელს, მდიდარს, მშვენიერს ქართულს ენას! ვიბრძოლებთ მისთვის – ეს ჩვენი წმინდა მოვალეობაა! სამეგრელოს ქართველებო! თქვენ მოგმართავთ ყველაზე უწინარეს. თქვენ არა ერთხელ დაგვიმტკიცეთ, როგორ ღრმად გიყვართ სამშობლო ქართული ენა, არა ერთხელ გამოგიცხადებიათ წინააღმდეგობა, როდესაც მთავრობას მოუწოდებია ქართული ენის გამოდევნა სამეგრელოს ეკლესიებიდან. დღეს ქართული ენა გამოძევებულია სკოლებიდან: რუსის მთავრობას უნდა ბავშვობიდანვე დაგავინყოსთ სამეგრელოს ქართველებს ქართული ენა, უნდა პატარაობიდანვე ჩამოგაშროსთ თქვენ ქართველს ერს, უნდა დააუძღუროს ქართველი ერი, გადააგვაროს და გაანადგუროს ჯერ ერთი წაწილი, რომ მერე შეუდგეს დანარჩენი ერის მოსპობასაც. თქვენ არ გავჩუმდებით დღეს და მხნედ გაუნევთ წინააღმდეგობას მთავრობის ძალ-მომრეობას: ქართული ენა თქვენი სისხლი და ხორცია და არავის არ დაუთმობს მას! თქვენს შვილებს არ მიაბარებთ იმ სკოლებში, საიდანაც გამოდევნილია ქართული ენა. ის სკოლა ვერ აღზრდის თქვენს შვილებს, რომელმაც დედა-ენა უნდა დაავინყოს მათ! თქვენ არ მიეკარებით, არ შეხვალთ იმ ეკლესიაში, სადაც რუსულად წირავენ და ლოცულობენ: ღვთის ხმა არ ისმის ისეთ ეკლესიაში, არამედ მხოლოდ მონობას გვიქადაგებენ! თქვენ მოითხოვთ, რომ სამშობლო, ქართული ენა იქმნეს გაბატონებული თქვენს სკოლებსა და ეკლესიებში, სასამართლოებსა და სხვა დანესებულებებში! თქვენი ცხოვრება, განათლება და წარმატება შეუძლებელია უქართულენოდ. თქვენ დაჰგმობთ და დასჯით ყველა მოძმეს, ვინც გილალატებსთ, შეიქმნება იუდა გამცემელი, მიემხრობა რუსის მთავრობას და არ მოითხოვს ქართულ ენას!

წინ მედგრათ და თამამათ, მთელი ქართველი ერი თქვენთანაა!
ბრძოლა დღეს, ბრძოლა ხვალ, ბრძოლა ზეგ, გამუდმებული
ბრძოლა ქართული ენისათვის, ქართულ ეროვნებისათვის, ეროვნულ
თავისუფლებისათვის!

გაუმარჯოს ასეთ წმინდა ბრძოლას!

გაუმარჯოს თავისუფალ ცხოვრებისათვის მებრძოლთ!“ [23, 7-8].

როცა ასეთი დოკუმენტის მნიშვნელობაზე ვსაუბრობთ, უპირველესად გასათვალისწინებელია ის დრო და სივრცე, თუ როდის და რა სიტუაციაში იწერებოდა იგი, როცა ვოსტორგოვების უკიდევანო პარპაშის შესაჩერებლად ხმის ამოღება თავგანწირვის ტოლფასი იყო; როცა საქართველოს ავტონომიაზე და ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენაზე საუბარიც კი ყოველმხრივ გაძნელებული იყო, როცა ეპისკოპოს დიმიტრი აბაშიძის და მის მსგავსთა სულგაყიდულ ქმედებებს დიდი გასაავალი ჰქონდა; რომ იმ ხანებში პოპედონოსცევის წერილის, თუ მეგრელებისადმი მიმართვის მსგავსი მასალების დაბეჭდვა საქართველოში გამომავალი პრესის ფურცლებზე შეუძლებელი იყო.

გაზეთ „საქართველოს“ ფურცლებზე დასტამებული არაერთი მასალა თვალნათლივ გვიჩვენებს, თუ როგორი დაუნდობლობით ილაშქრებდა რედაქცია ყველა იმათ მიმართ, ვინც თავისი ქვეყნისა და ეკლესიის ინტერესებზე მალლა პირადულს აყენებდა და დამყრობლის საამებლად ყველაფერს კადრულობდა. ამის დასტურად, გამოდგება ეპისკოპოს დიმიტრი აბაშიძის უღირსი ქმედებებისადმი მიძღვნილი სტრიქონები...

„გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსად ალექსანდრეს ნაცვლად, თავისი სამშობლოს გამცემი და გამყიდველი, ალავერდის ეპისკოპოზი, დიმიტრი აბაშიძე ინიშნება, – წერდა „საქართველო“.

როგორც იცის ჩვენმა მკითხველმა, დიმიტრი აბაშიძეს სძულს ქართველები, სძულს ქართული ენა და ამ სიძულვილით სურს კარიერა გაიკეთოს, სურს გული მოიგოს რუსეთის დესპოტიისა. სხვა რუსის მოხელეებთან ერთად დიმიტრი აბაშიძე შეუდგება ქართველების განადგურებას და დამცირებას გურია-სამეგრელოში. შეიძლება დასაწყისში დ. აბაშიძემ ფლიდური სიყვარულიც გამოუცხადოს გურულებს და მეგრელებს, მაგრამ იმედია ასეთის მახით ვერ გააბამს ჩვენს ხალხს, რომელიც კარგად იცნობს თავის მოღალატეებს... კახეთის საზოგადოება ზიზლით მიეგება დიმიტრი აბაშიძეს, პროკლამაციებიც გამოსცეს ალავერდობას მის წინააღმდეგ.

იმედია, ყოველ ქალაქში, ყოველ სოფელში, სადაც მიბრძანდება ეს სამშობლოს მოღალატე, ყველანი ზურგს მიაქცევენ, არავინ და-

უზღებდა, არავინ დაჰპატიჟებს, არავინ მივა მის წირვა-ლოცვაზე – დე, ხელი-ხელ ჩაკიდებული ბოქაულებთან და ჩაფრებთან მარტო-მარტო ილოცოს და ადიდოს რუსეთის იმპერატორი, რომელსაც მიჰყიდა თავისი სული“ [22, 3].

გაზეთის იმავე ნომრის „ქართული ცხოვრების მათიანე“-ს განყოფილებაში მოთავსებულ წერილში საუბარია იმაზე, თუ რა უშურველობას იჩენდა ხსენებული მეუფე, ეროვნული სიმდიდრის სხვისთვის გადაცემის ხარჯზე, თავისი კეთილისმყოფელები გაემრავლებინა. „ამასს წინად კიევის სასულიერო აკადემიის რექტორს შეუთვლია დიმიტრი (აბაშიძე – გ. ს.) ეპისკოპოზისათვის გამომიგზავნეთ ზოგიერთი ძველი ხელნაწერებო, რომელიც ტფილისის საეკლესიო მუზეუმში ინახებაო. ხელნაწერი ჭირია სამეცნიერო საგანთა გამოკვლევისათვისო. ასეთივე თხოვნით მიუმართავს მოსკოვის საარქეოლოგიო საზოგადოების თავ-რეს გრაფინია უვაროვისას, მეც მჭირია ქართული მხატვრობის შესწავლისათვის ზოგიერთი ძველი ხელნაწერი და გთხოვთ აქ, მოსკოვში, მალე მომანოდეთო.

არ გვესმის, ვის გაუგონია ძველი და ძვირფასი ხელნაწერების ასეთი გადაგზავნა-გადმოგზავნა? ვისაც შრომა და მეცადინეობა ჰსურს, ჩვეულებრივად, თვითონვე უნდა გაისარჯოს, მივიდეს იქ, სადაც ძვირფასი მასალა ინახება და ადგილობრივ შეისწავლოს საგანი... ჩვენ ხმას არ ამოვიღებდით, დასაკუთრების შიში რომ არ გვექონდეს. პირველი მაგალითი არ არის, ქუთაისის გუბერნატორის ლევაშოვის ოინბაზობა ჯერ არ დაგვეჩვენებია. აგერ ეხლახან ნაილეს სვანეთიდან ერთი ძვირფასი ხატი და, რასაკვირველია, აღარ დაუბრუნებენ. სამწუხაროდ, არც გრაფინია უვაროვისას და მითუმეტეს რექტორ პლატონის იმედი არა გვაქვს. ძლიერ ვეჭვობთ, რომ ამ ნაღებულ ნივთებს დააბრუნებენ.

და ასე, მთავრობის და მის მოსამსახურეთა წყალობით, ჩვენ თანდათან ვლაცაკდებით: მიაქვთ ჩვენი ფული, იხმარებენ ჩვენს შრომას, ომისათვის ამზადებენ ჩვენებურ ჯარისკაცებს. ხოლო ამითაც არ სჯერდებიან, მიაქვთ ჩვენი ისტორიული განძი, გვპარავენ და გვტაცებენ ჩვენს დოკუმენტებს, ხელნაწერებს, რათა აღმოიფხვრან ჩვენში ყოველი კვალი წარსულისა და ყოველივე იმედი მომავლისა. მკითხველო, არ უნდა მოელოს ამას ბოლო?“ [22, 2-3].

ეპისკოპოს დიმიტრი აბაშიძის პიროვნების მიმართ თუ რა აზრისა იყვნენ თანამედროვე ქართველი სამღვდელოების წარმომადგენლები, კარგად სჩანს გაზ. „საქართველოში“ კახეთიდან გაგზავნილ „ვინმე მღვდლის“ წერილიდან – „ეპისკოპოს დიმიტრის (აბაშიძის) გადაყვანის გამო“. იმით გახარებული ავტორი, რომ ეპისკოპო-

სი დ. აბაშიძე სხვაგან გადაჰყავთო, სიტყვებს არ იშურებს მისი პიროვნული თვისებების და დამსახურებების წარმოსაჩენად:

„... ცოტათ თუ ბევრათ შეგნებულს და თავის ერის გულშემატკივარს ქართველს გაეხარდება მოშორება იმგვარ ადამიანისა, როგორც იყო, არის და, რა თქმა უნდა მომავალშიც იქნება, ეპისკოპოსი დიმიტრი; ვინც კი იცნობდა დიმიტრის, ყველა იტყვის, რომ იგი ახალგაზრდობიდანვე მიჩვეული იყო თავის-თავის უპატივცემულობას, ქვემძრომობას, ორგულობას, რომლის წყალობით მან როგორც იქმნა, დაამთავრა რუსული სასწავლებლები და კიდევაც გაიკვლია მისთვის სანატრელი გზა; დღეს მისი ბედ-იღბალი ისეა გაჩარხული, რომ ბევრ მოხელე რუსსაც კი შეშურდება. მთელი მისი ბედნიერი ცხოვრება დამყარებულია ქართველების ლანძღვა-გინებასა, მათს დაბეზლებასა და უსირცხვილო მოქმედებებზე საქართველოს გასარუსებლად... ... მოიგონეთ მისი უსამართლო და ყოველ სვინდისს მოკლებული წერილები რუსულ გაზეთებში დაბეჭდილი (სხვათა შორის, მისი წერილი „პეტერბურგის უწყებებში“, „გრუზინის“ სახელით ხელმოწერილი და ბევრი სხვა).

ყველა ეს კარგად ახასიათებს ეპისკოპოზ დიმიტრის, რომ სანატრელი იყვეს ყოველ შეგნებულ ქართველისათვის მისი მოშორება... ვისურვებდით მხოლოდ ეხლა მაინც სამუდამოთ და რაც შეიძლება შორს წასულიყოს საქართველოდან“ [13, 11].

მაგრამ მოხდა ისე, რომ „ვინმე მღვდლის“ ფსევდონიმს ამოფარებული წერილის ავტორის სურვილი იმხანად არ აღსრულდა. ეპისკოპოს ალექსანდრეს (ოქროპირიძის) გარდაცვალებამ მას შესაძლებლობა მისცა საქართველოს ეგზარქოსის ალექსის და დეკანოზ ვოსტორგოვის ხელდასმით, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის ტახტი დაეკავებინა.

აქვე ორიოდ სიტყვით აღვნიშნავ იმ დადებით შედეგს, რომელიც გაზეთ „საქართველოს“ საზღვარგარეთ გამოცემით იქნა მიღწეული, რამაც ხელი შეუწყო ევროპის დემოკრატიულ საზოგადოებრიობას უფრო მეტი შეეტყო რუსეთის ცარიზმის უღლის ქვეშ მგმინავი ქართველი ხალხისა და მისი მრავალსაუკუნოვანი მართლმადიდებელი ეკლესიის მდგომარეობის შესახებ. ამაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს გაზეთის ფრანგულ ენაზე გამოცემის ორგანიზებაც.

ამრიგად, გაზეთ „საქართველოს“ მეშვეობით, ქართველმა სოციალისტ-ფედერალისტებმა მნიშვნელოვანი სამსახური გაუწიეს არჩ. ჯორჯაძის მიერ შემუშავებულ „ერთიანი მოქმედების თეორიის“ იდეის პროპაგანდას და ხელი შეუწყვეს ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიისათვის ბრძოლის გააქტიურების საქმეს.

დამონმებული ნყაროები და ლიტერატურა:

1. საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 8, საქ. 195.
2. ლასხიშვილი გ., მემუარები, თბილისი, 1992.
3. ლორთქიფანიძე გრ., ფიქრები საქართველოზე, თბილისი, 1995.
4. მოგონებები გარდასულ დღეთა, ილია თბილისი, 1987.
5. სახოკია თ., ჩემი საუკუნის ადამიანები, თბილისი, 1984.
6. შველიძე დ., პოლიტიკური პარტიების წარმოშობა საქართველოში, ნაკვ. I, ფედერალისტები, თბილისი, 1993.
7. შველიძე დ., გაფრინდაშვილი გ., გიორგი დეკანოზიშვილი – მამულიშვილის დაბრუნება, თბილისი, 2010.
8. ცინცაძე კ., ჩემი მოგონებებიდან, თბილისი, 2001.
9. ქართველთა ეროვნება, წერილი პროფ. ნ. მარისა, ქუთაისი, 1905.
10. შარაძე გ., ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. 1, თბილისი, 2001.
11. ჭავჭავაძე ი., თხზულებანი, ტ. 4, თბილისი, 1987.
12. გაზ. „საქართველო“ (პარიზი), №1, 1903, 1 მაისი.
13. გაზ. „საქართველო“ (პარიზი), №2, 1903, 15 მაისი.
14. გაზ. „საქართველო“ (პარიზი), №4, 1903, 15 ივნისი.
15. გაზ. „საქართველო“ (პარიზი), №5, 1903, 1 ივლისი.
16. გაზ. „საქართველო“ (პარიზი), №7, 1903, 1 სექტემბერი.
17. გაზ. „საქართველო“ (პარიზი), №8, 1904, 1 იანვარი.
18. გაზ. „საქართველო“ (პარიზი), №10, 1904, 1 მარტი.
19. ბაქრაძე გ., ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია, თბილისი, 1947.

Gela Saitidze

Doctor of Historical Sciences, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology, Chief Scientist of the Department of Modern and Contemporary History

The Newspaper „Sakartvelo“ and the Issue of the Church of Georgia

Summary

The first edition of the newspaper „Sakartvelo“ appeared in Paris on May 1, 1901. Archil Jorjadze was the editor and Giorgi Dekanozishvili was the publisher of the newspaper. The circulation of the newspaper „Sakartvelo“ was 600 copies. It was printed every two weeks and counted 8 pages. Altogether was printed 51 issues: 7 in 1903, 19 in 1904 and 25 in 1905.

The newspaper was available for the french reader as well with the same name /„La Georgie“/.

The newspaper „Sakartvelo“ has played a major role in structural formation of the „Georgian Socialist-Federalist Party“. The newspaper was paying particular attention to the facts of social, political and national oppression of Georgian people living under the Tsarist regime of Russia. Many authors have discussed these problems in their works. The role of newspaper in the issues of the Georgian Orthodox Church has never been the research object until now.

In the previous article we made an effort to eliminate this mistake. The conclusion is the following: The newspaper „Sakartvelo“ supported not only for propaganda of the ideas of the „Theory of United Action“ developed by Archil Jorjadze and the formation of the new political party based on this theory, but also significantly awakened the interest in fighting for the declaration of the autocephaly of the Georgian Church.